

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება N 018**

ქ. თბილისი

13 ოქტომბერი, 2015 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური (შემდგომი - „შემსყიდველი“), სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის, ოთარ ნემსაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „არტსტუდიო-პროექტი“ (შემდგომი - „მიმწოდებელი“), დირექტორის, ირენე სკალვინის სახით (ცალ-ცალკე წოდებული როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად - „მხარეები“),

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველის მიერ, საპროექტო მომსახურების - დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით, კლასიფიკატორის დანაყოფიდან მომსახურება ურბანული დაგეგმარებისა და ლანდშაფტური არქიტექტურის სფეროში (CPV 71410000), ჩატარდა კონკურსი (საკონკურსო განცხადების უნიკალური N1673), რომელშიც, საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით (ოქმი N5, თარიღი: 13.09.2015წ.), II ადგილი მიენიჭა მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრებას (ხედვა) (შემდგომი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრება“),

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტება

- 1.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ქვემოთ მოცემულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:
- 1.1.1. ავტორი - ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ-შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრება ან/და მისი ნაწილი.
- 1.1.2. ხელშეკრულება - წინამდებარე ხელშეკრულება, მისი დანართი, დამატებითი შეთანხმება, ნებისმიერი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც მიზნად ისახავს წინამდებარე ხელშეკრულების აღსრულებას.

2. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

- 2.1. ხელშეკრულების საგანია „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრების“ შესყიდვა და მასთან დაკავშირებული საავტორო უფლებების გადაცემა.

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

- 3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარს, კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით და მოიცავს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრების“ მომზადებასთან და შემსყიდველისთვის გადაცემასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და პირობები

- 4.1. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრების“ შემსყიდველისათვის გადაცემა ხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის განმავლობაში.
- 4.2. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრებასთან“ დაკავშირებული სრული მასალის შემსყიდველისათვის გადაცემა.

4.3. მიწოდების ადგილს წარმოადგენს ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. N7, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

4.4. შემსყიდველის მიერ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრების“ მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლები.

5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

5.1. ხელშეკრულების ღირებულების გადახდა განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

5.2. ანგარიშსწორება მოხდება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრების“ შემსყიდველისათვის გადაცემისა და აღნიშნულის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების მე-13 მუხლში.

6. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

6.1. მხარეები ვალდებული არიან განუხრელად შეასრულონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

6.2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრების“ შემსყიდველისთვის გადაცემიდან ერთი წლის განმავლობაში, ნებისმიერი ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში, შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე, მიმწოდებელი ვალდებულია გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღისა, საკუთარი ხარჯებით გამოასწოროს ნაკლი. მიმწოდებლის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

6.3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრების“ შესყიდვის, მასში შესაძლო ცვლილებების შეტანისა და შემდეგში მისი განხორციელებისას შემსყიდველი უფლებამოსილია, მაგრამ არ ეკისრება ვალდებულება მიმდინარე პროცესებში უზრუნველყოს მიმწოდებლის ჩართულობა.

6.4. მომავალში, მესამე პირების მიერ, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრების“ გამოყენების შემთხვევაში, შესაბამისი ანაზღაურების მიღების უფლება გადადის შემსყიდველზე.

7. საავტორო უფლებები

7.1. მიმწოდებელი, ხელშეკრულების ღირებულების ფასად, შემსყიდველს, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, გადასცემს ნაწარმოების გამოყენების განსაკუთრებულ უფლებას („საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლით განსაზღვრული უფლებები), რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი უფლებებისგან:

7.1.1. ნაწარმოების რეპროდუცირება (რეპროდუცირების უფლება);

7.1.2. ნაწარმოების ორიგინალის ან ასლების საზოგადოებაში გავრცელების გაყიდვის ან გაქირავების, ან/და საკუთრების ან მფლობელობის სხვა ფორმით გადაცემის გზით (გავრცელების უფლება);

7.1.3. ნაწარმოების საჯარო ჩვენება (საჯარო ჩვენების უფლება);

7.1.4. ნაწარმოების საჯარო გადაცემა, ეთერში ან კაბელით პირველი ან/და შემდგომი გადაცემის ჩათვლით (საჯარო გადაცემის უფლება);

7.1.5. ნაწარმოების გადამუშავება (გადამუშავების უფლება);

7.1.6. ნაწარმოების თარგმნა (თარგმნის უფლება);

7.1.7. ნაწარმოების ადაპტაციის, მორგების, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის, მასში ცვლილებების განხორციელებისა და ნაწარმოების სხვაგვარი გამოყენების უფლება.

7.2. მიმწოდებელი, „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტების თანახმად, ნებას რთავს შემსყიდველს შეიტანოს ცვლილებები, როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში (სათაურში), ასევე, დაურთოს მას მესამე პირთა ნაწარმოებები.

7.3. ამ მუხლის „7.1.“ პუნქტში აღნიშნული უფლებების გამოყენების განსაკუთრებული უფლება შემსყიდველს ანიჭებს უფლებამოსილებას ამ უფლებების გამოყენების ან/და გამოყენების აკრძალვის თაობაზე.

7.4. მიმწოდებელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებრივ უფლებებს შემსყიდველს გადასცემს განსაკუთრებული ლიცენზიით, რაც ნიშნავს რომ მიმწოდებელი განსაკუთრებულ უფლებას გადასცემს მხოლოდ შემსყიდველს და მასვე აძლევს უფლებას აკრძალოს ნაწარმოების გამოყენება სხვა პირთა (მათ შორის, მიმწოდებლის, ავტორის) მიერ. ამასთან, მიმწოდებელი წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხემოწერით ადასტურებს, რომ ავტორისაგან მოპოვებული აქვს ამ მუხლის „7.1.“ და „7.2.“ პუნქტებით გათვალისწინებული უფლებების შემსყიდველისათვის გადაცემის უფლება.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8.2. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

8.2.1. მხარის მიერ, თუ მეორე მხარე სრულად და ჯეროვნად არ შეასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას;

8.2.2. ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

9. მოქმედი კანონმდებლობა და მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ხელშეკრულებისა და მისგან წარმოშობილი ურთიერთობების მიმართ გამოიყენება მოქმედი კანონმდებლობა.

9.2. იმ შემთხვევებთან მიმართებაში, რომლებიც გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულებით ან არსებობის შემთხვევაში, მისი დამატებით, მხარეები ხელმძღვანელობენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით.

9.3. მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. მხარეთა გარანტიები

10.1. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მხარეები აცხადებენ, რომ მათ აქვთ სრული უფლებამოსილება დადონ ხელშეკრულება და იკისრონ ამ უკანასკნელით გათვალისწინებული ვალდებულებები.

10.2. ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, მიმწოდებელი ადასტურებს, რომ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლების წინასაპროექტო მოსაზრება“ წარმოადგენს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთს, რასთან დაკავშირებითაც პრეტენზიის გამოთქმის უფლება არ აქვს არცერთ მესამე პირს.

10.3. მხარეები ადასტურებენ, რომ ხელშეკრულების შინაარსი ზუსტად გამოხატავს მხარეთა ნებას.

11. სადავო საკითხების გადაწყვეტა

11.1. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, რომელიც წარმოიშობა ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.

11.2. თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში მხარეები ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს, დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია მიმართოს სასამართლოს, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. სხვა პირობები

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან.

12.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

12.4. ყველა დანართი და ხელშეკრულების დამატება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად და სავალდებულოა შესასრულებლად.

12.5. ხელშეკრულების რომელიმე პუნქტ(ებ)ის ბათილობა გავლენას არ ახდენს ამავე ხელშეკრულების სხვა რომელიმე პუნქტების ნამდვილობის საკითხზე და არ იწვევს სხვა პუნქტების ბათილობასაც.

12.6. მხარეები სრულად არიან პასუხისმგებელი მათ მიერ ხელშეკრულებაში მითითებული რეკვიზიტების სისწორეზე. რეკვიზიტების ცვლილების თაობაზე მეორე მხარეს ეცნობება წერილობით.

12.7. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით. იმ შემთხვევაში, თუ მხარისათვის შეტყობინების გადაცემა ვერ ხერხდება ხელშეკრულებაში აღნიშნულ მისამართზე იმის გამო, რომ მისამართი არასწორადაა მითითებული, შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად და შეტყობინებაში მითითებული ვადების ათვლა განხორციელდება გზავნილის შესაბამის მისამართზე წარდგენის მომდევნო დღიდან.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახური
ს/კ 205270053
მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N7
ბანკის კოდი: TRESGE22
სახელმწიფო ხაზინა: 1020

მიმწოდებელი:

შპს „არტსტუდიო-პროექტი“
ს/კ 204489393
იურ. მის.: ქ. თბილისი, გ.ტაბიძის ქუჩა 3/5
ფაქტ. მის.: ქ. თბილისი, წყნეთის
გზატკეცილის მიმდებარედ, მე-4 კორპუსი
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს
ბანკი“, ა/ა GE05BG000000119334000GEL
ტელ.: (995 32) 291 52 54, (995 32) 291 52 57
ელ. ფოსტა: info@artstudio.ge

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
არქიტექტურის სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი ოთარ ნემსაძე

შპს „არტსტუდიო-პროექტის“ დირექტორი
ირენე სვალვინი

